პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



წითელი მეომარი

1923
აგვისტო
22
ოთხშაბათი
მზე ამ. 4 ს. 25 წ.
მზე ჩ. 7 ს. 08 წ.
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 346 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 346

გერმანია პროლეტარულ რევოლუციის წინ.

გერმანიის კრიზისი მეტის მეტად იმწვავდა. ახალმა კაბინეთმა შტრეზემანის მეთაურობით არამც თუ შეაჩერა კატასტროფიული მდგომარეობა, არამედ პირიქით ხელი შეუწყო მის განვითარებას. მარკა კვლავ ელვის სისწრაფით მიექანება ძირს. ბატონ სოციალ-დემოკრატ ჰილფერდინკის გენიოსობამ ვერ შესძლო ფინანსიური ვაკხანალიის შეჩერება. ემისია კუნოს მთავრობის დაცემის დღიდან გაიზარდა 200 პროცენტზე მეტი. მარკის ასეთი დაცემა დიდ გავლენას ახდენს ვაჭრობაზე და იწვევს მის შემცირებას. გლეხები უარს ამბობენ თავისი მეურნეობის ნაწარმოების გაყიდვაზე. ყველა დუქნები თითქმის [illegible] ვალიუტას, ოქროს, დოლარსა და სხვა. უკანასკნელები კი მუშათა კლასს არ მოეპოება, რადგან კაპიტალისტები ათი საათის სამუშაო დღისათვის ქირას იძლევიან ყოველგვარ [illegible] მოკლებულ მარკას. [illegible]რიურის მოწყვეტით და [illegible]ის პატრონების მიერ სათ[illegible] მასალაზე ფასების არაჩვეულებრივად აწევით შეჩერდა რკინის გზებზე მიმოსვლა ბერლინში, რასაც მოყვება მრავალი ათასი მუშების გამოყრა ქუჩაზე.

თითქმის ყველა დაპირებანი, რომელიც შტრეზემანმა აღუთქვა თავის საპროგრამო სიტყვაში, შეუსრულებელი რჩება მის მიერ.

ახალმა კაბინეთმა არამც თუ შეაჩერა საერთო რღვევა და კრიზისი, არამედ უფრო გააღრმავა ის. ბოლოს და ბოლოს, რომ დავაკვირდეთ, მთელი მისი მეთოდები, არაფრით არ განსხვავდება წინანდელი კაბინეთის მეთოდებისაგან...

შტრეზემანი ისე, როგორც კუნო ჰფიქრობს—გერმანიის მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების საშვალებით გამოვიდეს ამ ქაოსისაგან, მაგრამ ძლიერ სტყუვდება. გაფიცვების ტალღა, რომელიც მოედო მთელ გერმანიას, იყო იმის დამამტკიცებელი, რომ მუშათა კლასი უკიდურეს მდგომარეობაშია, რომ მეტი მოითმენა მას არ შეუძლიან.

შეშინებულმა მთავრობამ, პირველად დაჰპირდა სამუშაო ქირის სტაბილიზაცია. მაგრამ შესწყდა თუ არა გაფიცვები, ჩვენ ვხედავთ, რომ შტრეზემანი თავის დამქაშებით ახდენს სასტიკ რეპრესიებს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

მთავრობის განკარგულებით დაშლილი იქმნა საქარხნო კომიტეტების სრულიად გერმანიის კომიტეტი და თხუთმეტთა კომისია.

შტრეზემანისა და სოციალ გამყიდველების მთავრობა—დამშეულ მუშათა კლასს უმასპინძლდება სასტიკი რეპრესიებით, ციხეებით და დახვრეტით. გარდა ამისა, სოციალ-გამყიდველების წასისინებით, გერმანიის პოლიციელები ანადგურებენ კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციებს. მათ სურთ ძალით აღმოფხვრან კომპარტიის ზეგავლენა მუშათა კლასზე, მაგრამ ამაოდ.

გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლის წყურვილი არამც თუ არ ნელდება ბურჟუაზიისა და სოციალ-შემთანხმებლების რეპრესიებისაგან, არამედ ის უფრო და უფრო იზრდება და მასთან ერთად იზრდება სიძულვილიც გათახსირებულ სოციალ-დემოკრატიისადმი, რომელიც გაჭირვებულ დროს ყოველთვის ტოვებს მუშათა კლასის რიგებს და გადადის ბურჟუაზიის მხარეზე.

არავითარი ძალმომრეობა, ხიშტების და ციხეების არ ჩააქრობს გერმანიის მუშათა კლასის მოძრაობას და კომპარტიის გავლენას მათზე.

შტრეიზემანის უდღეურო კაბინეთს უფრო უარესი დღეები მოელის, ვიდრე კუნოსი. ადრე თუ გვიან მუშურ გლეხური მთავრობა დაიკავებს მის ადგილს.

პრესა

,,გლეხი და მისი ღმერთი''

,,პრავდა''-ს წერილი.

,,პრავდა'' მოწინავე წერილში, ,,გლეხი და მისი ღმერთი'' აქცევს ყურადღებას ჩვენი ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის მახინჯ ფორმებს.

გლეხების წინაშე გამოდის ორატორი, რომელიც ანადგურებს ღმერთს და წამდაუწუმ ასახელებს, ლანძღავს ხუცებს და ფიქრობს, რომ რაიმე სარგებლობა მოიტანა, ხოლო ის კი ავიწყდება, რომ გლეხის ღმერთი არ ჰგავს ინტელიგენტების განყენებულ ღმერთს, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ ღვთისმეტყველები და ღვთის მაძიებელნი. ეს არის პირველ ყოვლის უფროსი პატრონი, რომლის ხელში არის წვიმა, მზე, მოსავალი, საქონელი...

ის გლეხმა შექმნა თავისთვის თავის მახლობლათ, რადგანაც გრძნობდა უმწეობას გამოუცნობ და საშიშარ ძალების წინაშე ბუნებაში. მუქთად ეს ღმერთი არაფერს აკეთებს. არ ილოცებ, არ დაუნთებ სანთელს, —არ იქნება მოსავალი. ხუცები ღმერთის ცუდი ნოქრებია, არ ეზარებათ სმა, თავიანთი მეურნეობის მოწყობა. არა ლანძღვით და დაცინვით უნდა გავაძევოთ ხუცები, არამედ საჭიროა, თვით გლეხმა შეიგნოს, რომ ის არც ისე უმწეოა ბუნების წმინდა ძალების წინაშე. ასწავლეთ მას მოსავლის მოყვანა წვიმის რაოდენობის მიუხედავათ, ასწავლეთ საქონლის მოვლა და მაშინ ღმერთს ადგილი აღარ დარჩება გლეხთან. ის დაივიწყებს მას, როგორც კი მოხვდება ფაბრიკაში და მოსცილდება თუ არა მიწას, ის დაიწყებს ღმერთის დავიწყებას. ჩვენი ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის მოსასმენათ გლეხი მოდის მაშინ, როდესაც ის გაეცნო ყველაფერს, კაცის მიერ შექმნილს, რასაც აწერდა მხოლოდ ღმერთს. ხოლო, როდესაც მას ესმის არა გაუგებარის ახსნა-განმარტება, არამედ თავისი ღმერთის ლანძღვა, მაშინ მისი პირველი აზრია დაიცვას უკანასკნელი შეურაცმყოფელ და არა სერიოზულ მოპყრობისაგან.

ზოგჯერ, მრევლის დაუკითხავათ, უწმუნოების კრებაზე დაუმყარებლად, კეტავენ ეკლესიებს, აუქმებენ დღესასწაულებს და სხვ. ეს არაფერს არ მოიტანს ზიანის გარდა, ხელოვნურათ არ შეიძლება სარწმუნოების აღმოფხვრა. ჩვენ სარწმუნოებას აღმოფხვრით გლეხებში არა ლანძღვით, არა ადმინისტრატიული ღონისძიებით, არამედ სალი მიდგომით, სერიოზული პროპაგანდით და ცოდნით, რომელსაც მისცემთ ჩვენ გლეხობას.

ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდა სოფელში უნდა გადაიქცეს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდათ".

⁂

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" 190 ნომერში მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელიც ეხება მომენტს მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის მოახლოებისა. წერილი აღნიშნავს, რომ მთლიანი გადასახადის წარმატებითი მოკრებაზე დამოკიდებულია საგადასახადო კომპანიის წარმატებით ჩატარება ამიერ კავკასიაში და ამასთან, ცხადია, ფინანსიური მდგომარეობაც. მთლიანი სას. სამეურნეო გადასახადების შესახებ მრავალი დეკრეტები და დადგენილებანი გამოვიდა თავის დროზე.

გაზეთებშიც იყო მოთავსებული წერილები, რომლებიც ახსნა განმარტებას იძლეოდა ამ გადასახადებზე. ერთი სიტყვით ცენტრსა და ადგილებში– ყველგან მიღებული იყო ყოველგვარა ზომები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

„მაგრამ მაინც—ამბობს გაზეთი—საჭიროა ვიკითხოთ:—არის თუ არა ყველაფერი წეს-რიგზე? ჩატარდება თუ არა ჩვენ გადასახადების შეკრება ყოველ-გვარ გაუგებრობის გარეშე? ასეთი კითხვები საფუძვლიანია მით უფრო, რომ ზოგიერთი ადგილებიდან მოდის საჩივრები გადასახადთა უწესოდ შეწერის გამო, ხოლო ეს უკანასკნელი კი უმთავრესი რამ არის. დეკრეტის ძალით განსაზღვრულია ის რაოდენობა გადასახადისა (7 მილ. ფუთი), რომელიც უნდა შეკრებილ იქნას მთელ ამიერ კავკასიაში. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რაოდენობის რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის წესიერად განაწილებას. ეს ამოცანა მეტად ძნელია. სამართლიანი საყვედურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დიდის წარმატებით მუშაობა ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატის მხრივ. აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ მათ".

შემდეგ გაზეთი ეხება გადასახადის მოკრებას ადგილობრ ნატურით და ადგილობრ ფულით:

„ჩვენ ვიცით—ამბობს ის—რომ არის ალაგები, სადაც გაუგებრობას ბადებს გადასახადის ესა თუ ის ფორმა. რაშია საქმე? ადგილებმა ხომ თვით ამოირჩიეს ამა თუ იმ ფორმის გადასახადი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვურჩევთ აწონილ იქნას ის მდგომარეობა, თუ რამდენად შეიძლება მან გამოიწვიოს გაუგებრობა მაზრებში და ამით შესუსტდეს გადასახადის შეკრების ტემპი".

ქვევით გაზეთი დაუშვებლად სთვლის გარემოებას, სადაც ზოგიერთ ადგილზე ამხანაგები მეტად უბრალოდ სწყვეტენ ამ საკითხს. მაგალითად, თუ რომელიმე მაზრის ზოგიერთი მცხოვრები მოისურვებს ფულით, ან ვსთქვათ ნატურით გადახდას, აქ მთელ სოფელს აძულებენ გადაიხადონ ამა თუ იმ სახით. ასეთი მოვლენები რა თქმა უნდა შეაფერხებს კომპანიის წესიერად ჩატარების საქმეს. ესეც რომ არ იყოს მცირე გაუგებრობათა თავიდან აცილება მაინც ძნელია.

„ამ გვარად—ამბობს გაზეთი—სასოფლო კომპანია არც ისე ადვილი საქმეა. მას დიდის ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა მივეპყრათ. ცხადია პირველ რიგში მომარაგებისა, და ფინანსთა კომისარიატმა, და შემდეგ სამაზრო ორგანოებმა უნდა მოკრიბონ ძალები და დაჰგმონ ყოველგვარი შაბლონი და „კაზიონშჩინა", და უნდა მოხერხებულად მიუდგენ გადამხდელებს—რათა შემცირებულ იქნას გაუგებრობა და დაბრკოლებანი საგადასახადო საქმეში, ამ საქმეში მომეტებულად ჩათრეულ უნდა იქნან სამაზრო და რესპუბლიკის აღმასკომები. მაგრამ მეტად ძნელი მუშაობა ეკისრება პარტიას. ადგილების პარტიულ ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ საგადასახადო დაწესებულებებსა და აგენტებს. და თუ გაუგებრობასა და შეცდომებს რაიმე ადგილი ექნება, ისინი ვალდებული არიან თავიდან აიშორონ და გაასწორონ ყოველგვარი არანორმალობა".

,,ამ რიგად—ათავებს გაზეთი—ყურადღება სასოფლო სამეურნეო გადასახადს! თვალყური ადევნეთ მას, რათა ეს მნიშვნელოვანი კომპანია ჩატარებულ იქნას შეუწყვეტლად და უშეცდომოდ.

სიფრთხილე და მზრუნველობა გლეხის მიმართ, რათა ის, როგორც გადამხდელი, დაცულ იქნას საგადასახადო პრაქტიკის ნარ-ეკლისაგან.

დეპეშები

— გერმანიაში მიუხედავად მარკის კურსის გაუმჯობესებისა მდგომარეობა თანდათან მწვავდება.

— მიღებულია ზომები შტრეზემანზე მოსალოდნელ თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

— გერმანიის ნახშირი მეტის მეტად გაძვირდა.

— საფრანგეთის ნოტაში ნათქვამია, რომ თუ გერმანია შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას, საფრანგეთი შეამცირებს საოკუპაციო ჯარების რიცხვს.

— მოსკოვში ჩავიდა გერმანიის ყოფილი რეიხს კანცლერი ვირტი.

საკონტრიბუციო საკითხი და რურის კონფლიქტი.

ყველაფერი გერმანიის ხარჯზე.

21 აგვისტოსთვის ლონდონში მოელოდენ საფრანგეთის პასუხს. „დეილი მეილის" პარიზის კორესპონდენტის აზრით საფრანგეთის ნოტაში [illegible]ება ცდა მიღწეულ იქნეს საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტა იმ გზით, რომ ინგლისი მიიღებს საკმაო საშვალებებს თავისი ამერიკის ვალების გასასწორებლად. გამოთქმულია იმედი, რომ პუანკარე ხელს გაუწოდებს ინგლისის მოთხოვნილებებს იმის და მიხედვით, თუ როგორ შეხედავს მთავრობა ახალ საკონტრიბუციო გეგმას. საფრანგეთის ნოტის მოსვლის დროს ბალდვინიც დაპრუ

ნდება ლონდონში. ნოტა განხილულ იქნება სასწრაფოდ.

ინგლისის პრესა პუანკარეს სიტყვის შესახებ.

პუანკარეს მიერ თავის უკანასკნელ სიტყვაში გამოთქმულ სურვილს, შემდეგშიაც საფრანგეთისა და ინგლისის თანხმობით გამოსვლის შესახებ, საკონტრიბუციო საკითხში, ინგლისის პრესა აძლევს საკეთილდღეო მნიშვნელობას. მაინც ლონდონის გაზეთები ტყუილად ეძებენ პუანკარეს სიტყვაში დათმობის ნიშნებს.

სამხრეთ-სლავიის პროტესტი.

გერმანიის მიერ საკონტრიბუციო გადასახადების ძლევის შეჩერების გამო სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს ნიშნავს გერმანიის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევას, რომელიც დიდ ხანს აყენებს სამხრეთ-სლავიის სასიცოცხლო ინტერესებს.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გადასცა საკონტრიბუციო კომისიას ამის გამო თავისი პროცენტი.

სხვა და სხვა ამბები

იაპონია.

პოლიციამ ტოკიოში დაატუსაღა 130 გაფიცული მუშა და 200 ე მეტი—კიოტოში.

შვეცია.

პროტესტი ფინეთის კომპარტიის დარბევის გამო.

შვეციის კომპარტიამ მოაწყო სტოკჰოლმში და გეტებორგში საპროტესტო მიტინგები ფინეთის კომპარტიის დარბევის საწინააღმდეგოთ და დაადგინა მიმართოს შვეციის ყველა ორგანიზაციებს მოწოდებით რათა აღმოუჩინონ ენერგიული დახმარება ფინეთის პროლეტარიატს.

უნგრეთი.

ბუდაპეშტში მელითონე მუშათა წარმომადგენლების კრებაზე მუშებმა გაილაშქრეს პროფკავშირების წინააღმდეგ, რომელთაც უყენებდენ ენერგიული და გადამჭრელი ზომების მიუღებლობას სიძვირესთან და სამუშაო ხელფასის მომატებისათვის ბრძოლაში. ორატორებმა განაცხადეს რომ თუ პროფკავშირები არ მოეკიდებიან საქმეს ენერგიულად მაშინ მასა იმოქმედებს დამოუკიდებლად.

საბერძნეთი.

პარტიების ბრძოლა.

საბერძნეთში, მომავალი საარჩევნო კომპანიის დროს ერთმანეთს შეებრძოლებიან, უმთავრესად ერთმანეთს შეებრძოლება ორი პარტია. ერთის სათავეში სდგას ყოფილი პრემიერი ზაიმის, რომელიც ისწრაფვის რევოლიუციონურ კომიტეტის დახმარებით შექმნას კოალიციური მთავრობა; მეორის სათავეში კი სდგას ლეგიტიმისტების ლიდერი გენერალი მეტაქსაო, რომელსაც ეხმარება იტალია.

უნგრეთი.

სიძვირესთან ბრძოლა.

სიძვირესთან ბრძოლის მიზნით, უნგრეთის მთავრობას განზრახული აქვს შეამციროს საზღვარგარეთ სურსათ-სანოვაგის გატანა და გაძლიეროს სპეკულიანტების დევნა.

გამოფენა არის ხალხთა შემაკავშირებელი.

ოსმალეთის წარმომადგენელმა მუხტარ-ბეიმ, აღნიშნა რა მისალმებაში რომ გამოფენა არის შემაკავშირებელი ჯაჭვი სხვა და სხვა ხალხებ შორის, სიხარულით აღნიშნა აგრეთვე, რომ სხვა და სხვა ხალხები თავისი მონაწილეობის მიღებით გამოფენაზე აცხადებენ რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერების სურვილს, რომელიც არის განმსაზღვრელი აგრეთვე პოლიტიკური დამოკიდებულებისაც.

დროშა ჩინელებისაგან რუსეთის მშრომელთ.

ჩინეთის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ლი-იუ ლანმა მიესალმა რა გამოფენას და უსურვა რუსეთის სასოფლო-სამეურნეობას აყვავება, გადასცა ჩინეთის ხალხის სახელით რუსეთის მშრომელებს ლამაზი დროშა მისასალმებელი წარწერით ჩინურ ენაზე.

ოსმალეთი.

ლოზანის ხელშეკრულების განხილვა.

ლოზანის ხელშეკრულება განხილულ იქნა ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული კომისიის მიერ და წარედგინა საბოლოოდ განსახილველად ოსმალეთის ეროვნულ ყრილობას.

გერმანია

შტრეზემანი საფრთხეშია.

ბერლინის ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ ხმები შტრეზემანის მოკვლის განზრახვის საფუძველს მოკლებულია. მაგრამ მიღებულია სიფრთხილის ზომები.

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს რედაქცია და კანტორა

ამით აცხადებს სამხედრო ნაწილების საყურადღებოდ, რომ ყოველ გვარი შემოწირულება, პროცენტული გადარიცხვა, საშეფო თუ სხვა ფული „წითელი არმიელი“-ს სასარგებლოდ

უნდა შედიოდეს პოლიტ-განყოფილების სალაროში,

საიდანაც სათანადო საანგარიშო წესების დაცვით გადაეცემა რედაქციას.

დაკავებულ ოლქებში.

კობლენცში.

კობლენცში საოკუპაციო ხელისუფლებამ უარი განაცხადა მთელ რიგ ახალ დანიშნულ მოხელეების დამტკიცებაზე.

სურსათის შესყიდვა ოკუპაციით დაკავებულ ოლქებისათვის.

რეკლინგჰაუზენის მაღაროების სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საოკუპაციო მთავრობასთან რათა ნება დართონ მათ გაგზავნის თავისი წარმომადგენლები ოკუპაციით დაუკავებელ გერმანიაში, ქართოფილის შესაძენად.

კატორღით იმუქრებიან.

საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად საბოტაჟისათვის მაღაროებში დამნაშავენი დაისჯებიან 20 წლის კატორღით და ჯარიმით ნახევარ მილიონ ოქროს მარკით.

ჩვენ და ისინი.

რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგება.

რუმინიის დელეგაციის ცნობით, ტირასპოლის კონფერენციაზე გადაწყვეტილია, დაკმაყოფილდნენ მოსაზღვრე მცხოვრებთა შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხის მოწესრიგებაში.

რუსეთ ოსმალეთის მეგობრობა.

ეროვნული ყრილობის გახსნის გამო ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოსმალეთში სურიცმა მიულოცა ქემალ ფაშას და უსურვა წარმატება მშვიდობიანი შენებლობის საქმეში.

სარწმუნოება და ღმერთები.

(შემდეგი)

სარწმუნოების წყარო უცოდინარობა არის. ღმერთები ბნელში იბადებიან და სინათლეზე ვერ გამოდიან: ღმერთებს ეშინიათ სინათლის და ცოდნის.

სარწმუნოება იქ არის მაგარი, ღმერთებს იქ აქვთ ძალა, სადაც ბნელა და ცოდნა არ ანათებს ბუნების მოვლენებს, სადაც ყოველი მოვლენა საიდუმლო არის და მიზეზი არა ჩანს, სადაც ადამიანი შეშინებულია მოვლენით და მიზეზი მოვლენის დაფარულია უცოდინარობით.

ბუნების მოვლენანი: მიწის ძვრა, ელვა, ქუხილი, დიდი გვალვა ან სეტყვა აშინებს ადამიანს. ვინაიდან ძალა არა აქვს შეაჩეროს ეს უცნაური მოვლენანი, პირველყოფილი ადამიანი შიშით თრთის და ლოცულობს.

ეს ხომ ყველამ იცის, რომ შიშის დროს ღმერთებს მიჰმართავენ, ღმერთზე ლოცულობენ, ისინიც კი, რომელთაც ღმერთი არა სწამთ, რომელთაც ღმერთი არა სჯერათ.

პირველყოფილი ადამიანი ხომ სრულიად მოკლებული იყო ცოდნას, ცხოვრების პირველ საფეხურზე ადამიანმა ხომ არაფერი იცოდა, ჯერ გონებით ბრმა იყო და ყოველი მოვლენა თუ საგანი გამოუცნობი იყო მისთვის; მან იცოდა მხოლოდ ის, რომ რასაც საკუთარი გამოცდილებით შეიძენდა, რაშიც საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდებოდა, მაგრამ განუზომელია სამყარო, თვალუწვდენია დედა-მიწა და უანგარიშოა ბუნების მოვლენანი, [illegible] შეუძლიან განუვითარებელ ადამიანს გაერკვეს ყოველივე ამას, რით შესძლოს მან ამ უცნაური სირთულის დაძლევა, როცა მემკვიდრეობით არ მიუღია მამათაგან ცოდნა და იარაღი? ვერაფრით. აქ ის ვერ გაერკვევა, აქ ის ვერ იპოვის მიზეზს მოვლენის ახსნისათვის: აქ მას უკვირს და ეშინიან, თრთის და ლოცულობს.

დიაღ, როცა ჯერ კიდევ საზოგადოება არ არის მომაგრებული, როცა ადამიანი მარტოა—უცოდინარი და უიარაღო—ბობოქარ ბუნების კალთებზე გამოსროლილი, ის დატყვევებულია ბუნების სიდიადით და თავზარდაცემული ყოველ ნაბიჯზე საფრთხეს მოელის. წარმოიდგინეთ ერთის მხრით—სუსტი და სრულიად უცოდინარი ადამიანი, მეორეს მხრით—ბუნების სიმძიმე, ძალა, განუზომლობა, მრავალფერობა და მრავალგვარობა: ნადირთა ღმუილი, ფრინველთა ჟრიამული, სიბნელე და ტყის იდუმალი შრიალი, მოულოდნელი ქარიშხალი—თოვლი ან უცნაური სიცხე; სინათლის—დღის სიბნელით—ღამით შეცვლა დაუსრულებლივ, მუდამ ანთებული და მხურვალე მზის ამოსვლა და ჩასვლა ყოველ-დღიური. ჰექა-ქუხილი, ელვა, მიწის ძვრა და თქვენ გაიგებთ და წარმოიდგენთ იმ უცნაურ მდგომარეობას, იმ საშიშროებას, რომელშიც უხვდებოდა არსებობისათვის ბრძოლა პირველყოფილ ადამიანს. ცხადია, მისი შიში განუზომელი იქნებოდა, ნება სუსტი და მოქმედება ვიწრო და ეჭვით დამძიმებული. ცხადია იგრძნობდა თავის გარეშე ისეთ დიდ ძალას, ასეთ პირობებში ჩავარდნილი ადამიანი, რომელ ძალასაც თაყვანისცემის ღირსად გახდიდა. აქ იბადება ღმერთი. აქედან იწყება ღვთისმსახურება, ლოცვა და მსხვერპლი, რომელიც დღემდე ვერ მოუთავებია და მოუშორებია კაცობრიობას.

აქ, რა თქმა, მხოლოდ ჩანასახია სუსტი და უპიროვნო ღვთაების.

ასეთი იყო პირველი განწყობილება ადამიანის ბუნებასთან, მაგრამ ადამიანი, შეიარაღებული გრძნობითა და გონებით, ვერ დაკმაყოფილდება პირველი განწყობილებით, პირველი შთაბეჭდილებით. ადამიანი ბუნებით მოძრავია, ის მუდამ ილტვის. მოძრაობს, არკვევს, ეძიებს, უნდა გაანათოს მოვლენათა მიზეზი, მაგრამ საკმაო გამოცდილების უქონლობის გამო, ეს შეუძლებელი ხდება—მიზეზს ვერ პოულობს.

შიში იზრდება, იზრდება საიდუმლო, იბადებიან ღმერთები. იბადებიან უთვალავი ავი სულები: ჭინკები, კუდიანები, ალ-ქაჯები. ბავშობისას ვის არ უნახავს შიში, ვინ არ ყოფილა ბნელში და უბრალო ბუჩქი ვის არ მოსჩვენებია ალ-ქაჯად, ვის არ უნახავს რაშით მოჯირითე ალ-ქაჯი, მაგრამ მხოლოდ ოცნებით, მხოლოდ ლანდის მოჩვენებით, სინამდვილეში კი, ცოცხალი ჭინკა არვის უნახავს, ან როგორ შეიძლება მათი ნახვა, როცა სინამდვილეში არ არსებობენ და ოცნების—ფანტაზიის ნაყოფნი არიან და სხვა არაფერი.

კეთილის, თუ ბოროტი სულების სამყოფი მხოლოდ ადამიანის ოცნება არის, შიშით შეპყრობილი და უცოდინარი ადამიანის ოცნება, მცოდნე და გაბედული ადამიანისათვის არც შიშია, და არც ალქაჯები და კუდიანები არსებობენ.

მცოდნე ადამიანისათვის, ბნელში თუ სინათლეში, ღამით თუ დღისით, საგნის თვისება და მოვლენის მიზეზი გარკვეულია და ალ-ქაჯის სახეს არ მიიღებს.

პირველყოფილი ადამიანი კი ვერ ერკვეოდა ბუნების სირთულეში, მან არ იცის ბუნების მოვლენათა მიზეზები და საგნების თვისებანი, მისთვის ყველაფერი საიდუმლო არის, ყველაფერი სუნთქავს, ყველაფერი ცოცხალია, მას ყველაფერი აშინებს.

ამიტომ არის, რომ პირველყოფილ ადამიანს სულიერი ჰგონია ყველაფერი და ყველაფერს თაყვანს სცემს. არ არსებობს ბუნებრივი საგანი და მოვლენა, რომელიც ადამიანს, ამა თუ იმ დროს, არ გაეღმერთებიოს და, რომლისთვისაც თაყვანი არ ეცეს. არ არსებობს არც ერთი ტომი, არც ერთი ერი, რომელსაც თავისი სარწმუნოება არ ჰქონდეს, მაგრამ, როგორც ყველაფერი, ცვალებადია სარწმუნოებაც. ადამიანი იძენს ცოდნას, ვითარდება—ერკვევა მდგომარეობას: კვდებიან ძველი ღმერთები, იბადებიან ახალი. ყოველი დრომოჭმული სარწმუნოება, ცრუმორწმუნოებად ითვლება, მაგრამ ნამდვილი და უკვდავი სარწმუნოება არავის აღმოუჩენია და ისტორიას არ ახსოვს. პირველ ყოფილმა ადამიანმა არ იცის, რა არის ცრუმორწმუნოება, ის ყოველ არსში, ყოველ მოვლენაში ღმერთს გრძნობს, მისთვის ყოველი მცენარე, ფრინველი, ნადირი, მდინარე თუ ცის მნათობნი სულ ღმერთები არიან. პირველყოფილი ადამიანის და ველურების აზრით უცნობი ტყეები და უცნობი ადგილები დასახლებულია ბოროტი, ან კეთილი სულებით. ყოველ მოვლენას თავისი ღმერთი ჰყავს მიწის ძვრას, ქარიშხალს, ელვას, ზამთარს თუ გაზაფხულს სულ თავისი ღმერთები წარმოშობენ. მათი აზრით. არის უმცროსი და უფროსი ღმერთები, მაგალითად, ავსტრალიის მცხოვრებთა აზრით მიწისძვრის ღმერთი სცხოვრობს დედამიწის გულში, ეს მთავარი ღმერთია, რომლის წარმომადგენელიც დედამიწაზე არის ხვლიკი. მათი აზრით, ხვლიკს პირდაპირი კავშირი აქვს მიწის ძვრის ღმერთთან, მაგრამ მიწის ძვრის დროს თვით ღმერთი ამოვა ხვლიკის სახით დედამიწაზე.

ასეთია უცოდინარი ადამიანის წარმოდგენა, მცოდნე ადამიანი, მიწის-ძვრის ღმერთად ხვლიკს კი არა, ვეშაპსაც არ მიიღებს! საზოგადოდ, პირველ-ყოფილი ადამიანისათვის უსულო საგანი არ არსებობს, საგანი ან ბოროტი სულით არის შეპყრობილი ან კეთილი სულით, და საგანი ან წმინდა არის ან უწმინდური და ეშმაკეული: ასეთია ადამიანებიც, მცენარეებიც და ცხოველებიც. ერთი ღმერთის ან ერთი სულის წარმოდგენა არა აქვთ პირველ-ყოფილ ადამიანებს, მათთვის ღმერთები ქაოსიდან—სიბნელიდან იბადებიან და სულების სახით დადიან და ჰმართავენ ქვეყანას, ქმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

კავშირი სოფელთან.

(სოფ. ტაბახმელის შეფი)

სოფ. ტაბახმელა მდებარეობს ქ. ფილისიდან „12" ვერსის მანძილ- ე. მიუხედავათ ასეთი სიახლოვისა ქართველის კულტ-ულ-ცენტრ- ან, კულტურულგანათლების მხრივ, ველი ძლიან ჩამორჩენილია და კი შეიძლება მისი შედარება ხრივ დასავლეთ საქართველოს ებთან. არ არსებობს არავითა- სასწავლებელი და ძლიან იშვია ნახავ წერა-კითხვის მცოდნეს. ფელში სახლობს 120-კომლამდე ეხი, რომელთაც სიღარიბის და ნუვითარებლობის გამო, არ შე- ოთ სათანადო სიმაღლეზე დაეყ- ით სოფლის მეურნეობა და ემდის მიწის მუშაობა სწარმოებს იმიტიური წესით.

სოფელში არსებობს ჭირის წინა- მდეგ სითხის დამმზადებელი სად- რი, სადაც მუშაობენ მუდმივად კაცამდის. მუშაკთა შორის არ ოებს არავითარი კულტურ-პო- ტიკური მუშაობა.

ტაბახმელის შეფობა იკისრა ტფი ისის მაზრის განსაკუთრებულ და- მნულების ნაწილებს კომ-უჯრე- ა, რათა დახმარება აღმოეჩინათ ძლების დავგარად ყოველ მხრივ. ამ მიზნით 12 აგვისტოს დილის საათზე საქ. ცენტრალურ კომიტე იან თავი შეიყარა 53-კაცამ და ომა, უჯრედის წევრებმა უპარტი- ებთან ერთად და გაემგზავრა ტა- მელისკენ, თან წაიღეს ერთი პუ ს სანიავებელი— 200 წალკატი და ნდი. სოფლის მახლობლად მათ რა და სოფლიდან გლეხების წარ მადგენლები და წაიყვანეს, ისინი შაო ადგილას, სადაც გა- ო ახალი, უფრო მოხერხებული ქალისთვის, გზა. იქ მათ შეეგე- ს დიდის აღტაცებით მუშები და მათთან ერთად შეუდგნენ მუშაობას —გზის გაკეთებას. რამოდენიმე წუთის შემდეგ, სიმღერით მწყობრი რიგებით, მათ შემოუერთდა სადგურის მუშებიც. მამაკაცებს მუშაობაში, მხარში ამოუდგნენ ტფილისიდან ჩამოსული ქალები და ბევრი მუშაობით მათ არც კი ჩამორჩებოდნენ. საყურებლად მოსულმა გლეხის დედაკაცებმა დაინახეს რა ტფილისიდან მოსულ დედაკაცების თავგამოდებით მუშაობა საერთო საქმისათვის, თვითონაც მოჰკიდეს ხელი წაკატს-ბარებს და შეუდგნენ მათთან ერთად შრომას. მუშაობის დამთავრების შემდეგ საღამოს ამხანაგები გამოემგზავრნენ ტფილისისაკენ. (200-წალკატი და ბარი) და პურის სანიავებელი მანქანა დაუტოვეს სოფელს სახმარებლად.

უჯრედის ამოცანას მომავალში შეადგენს: დასრულება დაწყებული გზის. შესწორება უკვე არსებულ გზების, უზრუნველყოფა გლეხების შეძლების დაგვარად სასოფლო სამეურნეო იარაღებით. დაარსება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს და მისი უზრუნველ ყოფა ლიტერატურა გაზეთებით სკოლის გახსნა აღძვრა საკითხის სოფლის ელექტროფიკაციის და აგრეთვე წისქვილის აგების შესახებ, რომელსაც გლეხები, ძალიან საჭიროებენ.

ხონელი

და ობენ საგნებს და მოვლე- ბ. აქ ყოველი მიზეზი ღმერთია, თქმა უნდა, აქ მოჩვენებითი მი- ზეა ლაპარაკი, ნამდვილი მიზეზი უწდომელი იყო პირველყოფილი ამიანისათვის. მაგალითად, ქარის ვლენას ხსნიდენ სრულიად შეუ- ებლად: თითქოს უთვალავი კაპების დაბერვით ჩნდებოდეს ი. დღეს ასეთი განმარტებით ვებს ვერ დააჯერებთ. რამდენა- ც ადამიანი ახლო იცნობს ბუნე- , რამდენადაც ნათელია მისთვის ების მოვლენის მიზეზი და შე- გი, იმდენად იცვლება ადამიანის ყობილება ბუნებასთან, იმდენად ლი აზრები ებადება, ახალ იმ- ს პოულობს ადამიანი და თავი- ვლდება იმ უცნაური შიშისაგან, მელიც უცოდინარობის დროს რობდა და იმონებდა მას. ცოდ- და მეცნიერებით დამტკიცებუ- , რომ დღემდე არსებული სარ- წმუნოებანი უცოდინარობას ეყრ- ნობოდენ და უკოდინარობით რჩებოდენ. მაგრამ ადამიანს იმ- ავე დაჰყვა წყურვილი ცოდნის ძიების, უნარი ცოდნის და გა- დილების დაგროვების და უცო- ნარობას ნიადაგი ეცლება; დღი- დღე მაგრდება ადამიანის გონება იწმინდება გრძნობები. თავისუფ- ება ადამიანი ყოველგვარ მონო- ბაგან, მაგრდება და რწმუნდება ამიანი საკუთარ ნიჭის სიდიადეში, აღარ აშინებს ალქაჯები და თავს აწყევს მაჯლაჯუნები: საგნები და ლენები სინათლეზე გამოიტანა მიანმა, ცოდნით გაანათა სამყა- . გაქრენ ღმერთები, ფერი იცვა- სარწმუნოებამ.

გ. ბაბურაული.

საპატიო დაფა.

(შთაბეჭდილებანი)

ვაზიანის თვალ-უწვდენ მინდვრებში უკვე დამთავრდა არტილერიის ალლუმი, სადაც იღებდენ მონაწილეობას როგორც ქართული, ისე ოკას, სომხეთის დაადერბეიჯანის ნაწილები.

სხვა და სხვა ქვეყნის ერების შვილები უწინ, სხვა მთავრობათა დროს ერთი მეორის მტრები და ეხლა-კი კომუნისტური სულით გამთბარ მზის სხივებში ძმად შენაფიცნი ერთმანეთს სცდიან სწავლაში და სიმარდეში, რომ თუ ვინიცობაა მტრებმა შემოგვიტიონ ანუ ჩვენ დაგვჭირდეს შეტევაზე გადასვლა, თუ იქაურ მუშების და გლეხების მოწვევის ხმა მოვესმა, დასახმარებლად ვცდილობდეთ ერთი მეორეს წინ გაუსწროთ.

ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეებში ვაზიანის ველი... ინტერნაციონალის ჰიმნში ინათლებოდა არე-მარე.

ჰქუხდენ ზარბაზნები, ყიჟინებდენ წითელ-არმიელნი; მხიარული „ვაშა", „ურა", „კეცე" და „იაშასუნ" სძრავდა მიდამოს.

უყურებდი ამ სურათს და გიკვირდა, თუ ასე ცოტა ხანში როგორ მომზადდა ჯარი საომრად, როგორ სწრაფად შეიძინა სამხედრო ცოდნა. ალლუმ მდის ყველა რესპუბლიკების წითელი ჯარის ამიელები ერთმანეთში ართულან, ხუმრობენ, მუსაიფობენ, მღერიან, ცეკვავენ—გაისმის ბუკი და ყველა თავის ნაწილში. იწყება შეჯიბრება და... უნდა ნახო მათი სიმარდე, დაკვირვება „მტერსაც კი გაუხარდება მათი შეხედვაო" რომ იტყვიან, აქ ითქმოდა. მორჩა სროლა და „მოწინააღმდეგენი" კვლავ ერთად არიან, უზიარებენ ერთი მეორეს შთაბეჭდილებებს. აქ გესმის შექება, მეგობრული დაცინვა და სხვ.

ყველაზე გახარებულნი არიან ქართველი არტილერისტები, როგორც მასპინძლები მეზობელ რესპუბლიკათა შვილების. არ იციან, როგორ ასიამოვნონ მათ თავს ევლებიან, სცდილობენ მათთან მჭიდრო კავშირის გაბმას—საერთო ენას მალე პოულობენ და... მხიარულ ხელის გაწვდით გულის ფიცარზე იღბეჭდავენ ძმათა სიყვარულს.

მასპინძელი—ქართული არტილერია გამარჯვებულია. მან მიიღო მრავალ ჯილდოთა შორის ოთხ საპატიო დაფიდან—სამი, ერთი ოკას ერგო."

ჩვენ არტილერისტების სიხარულს საზღვარი არა აქვს. უფ და პოლიტ შემადგენლობიდან დაწყებული ყველა წითელ-არმიელამდის გახარებულნი არიან. მეზობლებიც ულოცავენ გამარჯვებას.

№

ჩვენი ნაწილის ცხოვრება.

სამხედრო სკოლის სამნეო ნაწილში გარდა საზნაკოთ წასულ წითელ არმიელებისა იმყოფებიან დაახლოვებით ორმოცი წითელი არმიელები. ამათში ოცამდინ იყო ისეთები, რომლებმაც წერა კითხვა არ იცოდენ, რის ლიკვიდაციისათვის არის მიღებული ენერგიული ზომები და სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა. ამ საქმეში დიდი შრომა მიუძღვის მასწავლებელ ამხ. გუგუშვილს. ამ რამოდენიმე დღის წინათ დაიწყო კიდევ მეორე ჯგუფს მეცადინეობა რასაც დიდ აღფრთოვანებით შეხვდენ წითელ-არმიელები. პოლიტიკური მეცადინეობაც კარგად მიმდინარეობს.

უნდა აღვნიშნო რომ წასულ ხანებში ქონდა ადგილი ჩვენს ნაწილში ტანისამოსით დაუკმაყოფილობას რის გამო წითელ არმიელები ძლიან უკმაყოფილონი იყვნენ. მაგრამ ეხლა ასეთებს ჩვენს ნაწილში ადგილი აღარ აქვს! რაც უნდა მიეწეროს გუნდის უფროსის მუყაითობას.

ამხ. გუნდის უფროსის ამხანაგური განწყობილება და მეგობრული მოქცევა წითელ არმიელებთან ჰქმნის მეტად კარგ განწყობილებას წ. არმიელებში.

წ. თ. არ. ა. **ჩხეიძე.**

პოლიტხელთა კურსები.

ამ წლის პირველ აგვისტოს უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში გაიხსნა პოლიტხელთა მოკლე ვადიანი კურსები. ამ კურსების მსმენელებად არიან მოწვეული ამხანაგები, როგორც სამხედრო ნაწილებიდან ისე მაზრების კომკავშირიდან. სულ მსმენელთა რიცხვი უდრის 37 კაცს. კურსების გამგეთ არის დანიშნული ამხ. გიორგაძე, რომელიც დიდის ენერგიით ზრუნავს კურსების სათანადო დონეზე დასაყენებლად.

მსმენელები უზრუნველყოფილ არიან მატერიალურად, მხოლოდ ლექტორთა ძალების მხრივ სკოლა მეტად ღარიბია

თუმცა ამხ. გიორგაძე ორ საათს ყოველდღიურად მეცადინეობს ჩვენთან, მაგრამ ცხადია ეს ძლიერ ცოტაა. იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

ჩვენი სკოლის შენობაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. არა აქვს ჩარჩოები, ფანჯრები. როდესაც ვიძინებთ, მაშინ თუ ავაყუდებთ ხოლმე ფიცრებს. შენობა მოითხოვს შეკეთებას.

თვით კურსანტები დიდის ნდობით და მუყაითობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

საჭიროა მხოლოდ, როგორც ზევით ვსთქვით მეტი ლექციები და შენობის შეკეთება.

სამხკორი: **გ. ლეჟავა.**

ახალი ამბები

შემოწირულება გაზეთ „წითელ-არმიელის" სასარგებლოდ

ამხ. თენგიზ ულენტმა გაზეთ „წითელი არმიელის" ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირა 41.108000 მან.

სრ. საქართ. ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმში.

სრ. საქ. ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით უზენაეს რევტრიბუნალის თავმჯდომარეთ ინიშნება ამხ. კ. ცინცაძე, დასავლეთ საქ. რევტრიბუნალის თავმჯდომარეთ—ამხ. გ. ვაშაძე და აღმოსავლეთ საქ. რევტრიბუნალის თავმჯდომარეთ—ამხ. კაჭარავა.

უმუშევართა დაზღვევა.

შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა ინსტრუქცია უმუშევართა დახმარების და შეღავათის აღმოჩენის შესახებ ზოგიერთი მუხლების შესწორებით.

მევენახე-მეღვინე სცდელი სადგურები.

კახეთის მევენახე-მეღვინეთა საცდელი სადგური უკვე დაარსდა და შეუდგა კიდეც კახეთის ნიადაგის გამოკვლევას.

ნიადაგის გამოსაკვლევად.

25 აგვისტოს მიწად-მოქმედების კომისარიატის საცდელი ქვეგანყოფილება ქიმიკოს კალინის მეთაურობით გზავნის სპეციალურ კომისიას აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგის გამოკვლევის მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

27 აგვისტოს აგრონომების ხელმძღვანელობით მიემგზავრება გლეხების ექსკურსია მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დასასწრებლად.

სასოფლო სამეურნეო იარაღების გასანათხოვრებელი პუნქტები.

მიწად-მოქმედების კომისარიატის აგრო-დახმარების განყოფილების გამგემ დაათვალიერა რესპუბლიკაში არსებული სასოფლო სამეურნეო იარაღების გასანათხოვრებელი პუნქტები. ყველა მაზრებში გამონახულ იქნა საწყობი და შეკეთდა 1921 წ. ჩამოტანილი მანქანები. შეკვეთილია აგრეთვე ახალი მანქანები. ამ ჟამათ აღნიშნული პუნქტები აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას.

შაბიამან გოგირდის მოწოდება.

მიმდინარე წლის განმავლობაში მიწადმოქმედების კომისარიატი ფართე დახმარებას უწევდა რესპუბლიკის მაზრებს შაბიამან-გოგირდის მიწოდებით, რომელსაც კომისარიატი აწვდიდა ძლიერ ნაკლებ ფასად.

ნახნავ-ნათესის არე.

მიწად მოქმედების კომისარიატის ცნობების მიხედვით წელს მთელ საქართველოში აფხაზეთის და აჭარა ქობულეთის გამოკლებით მოხნულია 600.000 დესიატინა მიწა, რაც უდრის ომის წინა დროის მოხნულ არეს.

დასავლეთ საქართველოში სამეურნეო კულტურა ფართოვდება.

მიწად მოქმედების კომისარიატის ცნობით დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივ ხორბლეულ მცენარეთა გარდა თავი უკანასკნელ დროს იჩინა სხვა მცენარეთა კულტურამ მაგ. „სორღოს" და ბამბის მცენარის კულტურა გაფართოვდა.

და სიმინდზე ფასების დაწევამ გლეხ-კაცობა აიძულა ხელი მოეკიდა ღორებისა და ფრინველების მოშენებისათვის და გაეფართოვებია მეაბრეშუმეობა.

პოლიტხელთა კრების ექსკურსია

შაბათს 25 აგვისტოსთვის განზრახულია მოეწყოს ქართ. ჯარის პოლიტგანყოფილებასთან არსებულ პოლიტხელთა კურსების მსმენელებს ექსკურსია—ბორჯომ-ბაკურიანში.

გამოცდები ცხენოსან ლეგიონში.

20 აგვისტოს ცხენოსანთა ლეგიონში მოხდა წითელ არმიელთა გამოცდები პოლიტსაათებსა და სანსაათებში.

წითელ არმიელთა 75 პროცენტმა გამოცდები ჩააბარა ფრიად საკმაოდ.

მოსავალი რაჭა-ლეჩხუმში.

რაჭის და ლეჩხუმის მაზრაში პურის მომკა უკვე დამთავრდა მოსავალი საშვალოა.

საქონლის ჭირი.

მიწად მოქმედების სავეტერინარო განყოფილების ცნობით ივლისში საქონლის ჭირი არსებობდა დუშეთის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში; უკანასკნელ რიცხვებში ციმბირის ჭირმა ფართე ხასიათი მიიღო აგრეთვე ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში ჭირის საწინააღმდეგოთ მიღებულია ზომები.

რაზედ გვწერენ

პასუხი არ არის

ამას წინად გაზეთ წითელ არმიელში ჩემ მიერ მოთავსებული იყო წერილი ქართული დივიზიის საბეითლო ლაზარეთის შესახებ, სადაც მე ვეხებოდი ხსენებული დაწესებულების სანიტარულსა და პოლიტიკურ მდგომარეობას. არ ვიცი წაიკითხა თუ არა ეს წერილი ვისაც ჯერ იყო, ხოლო წ. არმიელნი ისევ იმ პირობებში არიან, როგორც წინად იყვნენ. საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, მით უმეტეს, რომ ხსენებული ნაწილი სანიტარულია.

შიოშვილი.

საავადმყოფო სიბნელეში.

მე-3 მე ლეგიონს აქვს რუსს ნაწილებთან ერთად შეერთებული საავადმყოფო რომლის გამგე საავადმყოფოს არ აქცევს არავითარ ყურადღებას, რაც ეს საავადმყოფო არსებობს, არც ერთ ავათმყოფ წით.-არმიელს არ ახსოვს ამ საავადმყოფოში, რომ სანთელი ყოფილიყოს ანთებული ბნელ ღამეში თუ ადგება ავათმყოფი აუცილებლად რაღაცას დაეჯახება, ან ლოგინს, ან კარებს და ხშირად არის შემთხვევა წითელ-არმიელები ერთი მეორეს ეჯახებიან და ცხვირ პირს იმტვრევენ, საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ყურადღება რომ მორჩენის მაგივრათ ცხვირპირი არ დაიმტვრიოს წითელ-არმიელებმა და უფრო ავათ არ გახდეს ასეთი გამგის წყალობით.

შრომისშვილი

ივერიელი

იძულებითი პასუხი.

გაზეთი „წითელი არმიელი"-ს ა. წ. 1-ლი აგვისტოს № 331-ში მოთავსებულია წერილი ,,თავგასული მე" ხელმოწერილი ვინმე ,,გვერდით მეთვალყურე"-ს მიერ, მე ამ წერილს დავტოვებდი უყურადღებოთ, რადგანაც ამით არ ღირს, მაგრამ ის წარმოადგენს ფაქტების დამახინჯებას და ამით მკითხველნი, უმეტესად წითელი არმიელები, რომლებსაც უტყუარ ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ წაკითხული, არიან შეყვანილი შეცდომაში და რომ სწორათ გავაშუქო ინციდენტი ხელს ვკიდებ პასუხის გაცემას იმ ჭეშმარიტად უნიჭო წერილზე. ჯერ, ვიდრე გადავიდოდე არსებითად პასუხზე, თავისი მოვალეობათ მიმაჩნია უთხრა მოქ. ,,გვერდით მეთვალყურე"-ს რომ დანიშნულება ყველ გაზეთისა საერთოდ და კერძოთ ისეთის, როგორიც ,,წითელი არმიელი"-ა არის აღნიშვნა დეფექტების და საერთოდ არა ნორმალური მოვლენებისა ყაზარმულ ცხოვრებაში, რათა ეს მოვლენები არ განმეორდეს, მაგრამ ფაქტების გასაშუქებლათ ყოველთვის საჭიროა ხელმძღვანელობა სასტიკად განხილული მასალით: 1-თვით ფაქტების სისწორით გაშუქების მიზნით და 2-რომ მკითხველი არ იქნას შეყვანილი შეცდომაში, როგორც ამ შემთხვევაში.

შინელის ამბავი წარმოიშვა 1922 წ. როგორც იუწყება მოქ. ,,გვერდით მეთვალყურე" 1922 წ. ნოემბერში მომარაგებამ გამოუშვა საშინელე მაუდი უფპოლიტშემადგენლობისათვის. მე, როგორც სამნეო ნაწილის გამგემ, გამოვიტანე ეს მასალა და დავურიგე კუთვნილისამებრ. თავისი წილი მათ შორის მიიღო მოქ. ბოკუჩავამაც, რომელმაც შესაკერავათ მიაბარა მკერავს თბილისში. დაბრუნდა რა მუხროვანში მოქ. ბოკუჩავამ მომმართა თხოვნით, რათა მე მისთვის მეგობრულათ მეთხოვებია საწყობიდან შინელი სანამ მისი შინელი იქნებოდა მზად, მასთან მომცა პატიოსანი კომუნისტური სიტყვა რომ მაშინვე დამიბრუნებს საწყობში შინელს, როდესაც მისი იქნება მზად. მეც დავუჯერე მის ,,პატიოსან სიტყვას" და მივეცი შინელი ვინაიდან საგრძნობელი სიცივეები იყო. იმ დღესვე გაქანა ქ. თბილისში და 3—4 დღის შემდეგ ბრუნდება და მიცხადებს რომ ის შინელი, რომელიც მიიღო ჩემგან დროებით სარგებლობათ, მას დაეკარგა. როცა მე მას უთხარი რომ ძლიერ ვწუხვარ რომ მივეცი მას შინელი ვინაიდან ამ ნიადაგზე მთელი რიგი უსიამოვნება იქნება თქო, მოქ. ბოკუჩავამ მიპასუხა ,,ეს სულ უბრალო რამ არის, ვიყიდი ბაზრზე ერთ შინელს და შევიტან თქვენს საწყობში" ო ამის შემდეგ არა ერთხელ მივმართე მას შინელის შესახებ, მაგრამ ყოველთვის დაპირება იყო და შესრულება კი არა.

ცოტა ხნის შემდეგ მოქ. ბოკუჩავა იქნა გადაყვანილი ქ. ქუთაისში, სადაც გაექანა და დიდ კმაყოფილებას გრძნობდა ნამდვილათ, რომ მოახერხა ერთი შინელის დაძრობა. ქუთაისში წერას ვთვლიდი უსარგებლოთ მით უმეტესად, რომ არა ერთხელმა პირადმა თხოვნამაც არ იმოქმედა ამ ,,სქელ კანიან" მოქალაქეზე. ამის შემდეგ აპრილში მე ვიქენი გადაყვანილი 1-ლ ბატარეაში და 2 ბატარეის სამნეო ნაწილი გადავაბარე ამხ. არჩაძეს, რომელიც აქამდისინ თვლის ჩემზე ბოკუჩავას მიერ წაღებულ შინელს. ა. წ. ივნისში ქართული საარტილერიო დივიზიონი გავიდა საბანაკოთ საერთო საარტილერიო პოლიგონზე სადგ. ვაზიანთან. ბოკუჩავაც აქვეა, შემხვდა ძლიერ მხიარულად და ისეთ ეკავა თავი, თითქოს სინდისი წმინდა ჰქონდა ჩემს წინაშე. არ არის მართალი მოქ. ,,გვერდით მეთვალყურე" რომ ამბობს ,,ცხოვრობდენ ძლიერ კარგი განწყობილებაშიო" პირიქით მე მას უპასუხებდი მხოლოდ მისალმებაზე შეხვედრისას. მეტი რა უნდა მქონოდა საერთო ისეთ კაცთან, რომელსაც გაუწიე ამხანაგური პატივისცემა, რაც დაკავშირებული იყო ჩემს მხრივ რისკზე, რაც მან კარგათ იცოდა და ამ პატივისცემით მომტყუა: სინდისის უქენჯნავათ უკან წაიღო თავისი ,,პატიოსანი" სიტყვა და ჩაყლაპა. ეს ჩემთვის საკმარისი იყო იმის დასამტკიცებლათ რომ. მოქ. ბოკუჩავა არის მცირე შეგნებული ტიპი, რომელიც თავის მოქმედებასა და სიტყვებში ანგარიშს არ იძლევა და მოკლებულია ელემენტარულ შემეცნებას პატიოსნებისა და რაინდობისა. ერთიც და მეორე თვისებაც საკმარისია იმისთვის რომ ასეთ ტიპებთან იყო მხოლოდ ნაცნობი და მეტი არა. სწორედ აგრე მეჭირა თავი მასთან.

24 ივლისს ჩემი სროლიდან დაბრუნების შემდეგ მოვიდა ჩემთან მოქ. ბოკუჩავა და მეუბნება: ,,მე თქვენთან სათხოვარი მაქვს და აუცილებლათ უნდა დამეხმაროთო" მთხოვა ფულები. მოქ. ბოკუჩავა მსახურობს მე 3 ლეგიონის ქვეითა სამთო ბატარეაში იმისთანა ნაწილში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს საარტილერიო დივიზიონთან. მაშასადამე რომ მე ვალდებული ვყავი მიმეცა ფული ეს კითხვა თავისი თავათ უქმდება. მიცემა შემეძლებოდა მხოლოდ მეგობრულად, ჩემ რისკზე, რაიც საკვირველზე მეტია მოითხოვოს ჩემგან აღნიშნული ამბების შემდეგ.

მე იქვე გარდაჭრით უარი უთხარი, და მასთან აუხსენი მიზეზი. ამაზე მოქ. ბოკუჩავამ მითხრა: „ამხ. ასათიანო უმჯობესია მომეცი ეგრე თუ არა სულ ერთია მე ფულს მაინც წავიღებ თქვენგან". ასეთი მუქარით წავიდა ჩემგან მოქ. ბოკუჩავა. 3—5 წუთის შემდეგ მოდის ჩემთან არტილერიის სამხკომის თანაშემწე ამხ. ქადაგიშვილი და მეუბნება: „ბოკუჩავას ფული სჭირია და თქვენ უნდა მისცეთო". მე უპასუხე: კეთილი მეგობრობას ბოკუჩავასთან მე ნუ მომთხოვთ, მიზეზი ბოკუჩავამ კარგათ იცის და თუ იქნება ბრძანებულება მე ვიქნები ვალდებული აღვასრულო. ამხ. ქადაგიშვილი სიტყვის უთქმელათ ადგა და წავიდა. იმავე ღამეს ამხ. ქადაგიშვილმა, როგორც გავიგე, ჩემს მიმართ დაიწყო მუქარა: „კარგი თქვენმა სამნეო ნაწილის გამგემ არ მისცა ფული ბოკუჩავას, მაგრამ ჩვენ მაგისათვის უჩვენებთ მასო" სირცხვილია ამხ. ქადაგიშვილო, ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირმა, როგორიც თქვენა გიჭირავთ საქმის გაურჩევლათ მუქარა მიმართოთ კაცის წინააღმდეგ.

მასთან თქვენი წერილი იმდენათ ტენდენციონურია, ერთფეროვანი და მედგომითი ხასიათისაა, რომ ყველასთვის მისახვედრია. ჩემზე სწერეთ სანამ არ მოგეწყინებათ, მხოლოდ-კი სინამდვილე და არა ფაქტების დამახინჯება, როგორც იმ წერილშია.

სრულებით არ არის მართალი მოქ. „გვერდით მეთვალყურე" თავისი შეხედულებაში, რომ მე ბოკუჩავას არ მივეცი ფული საერთოდ პოლიტშემადგენლობასთან მოუწყობლობა-შეუთვისებლობის გამო, ვინაიდან მთელი 2 ნახ. წლის განმავლობაში არა ერთხელ არავითარი უთანხმოება არა მქონია პოლიტშემადგენლობასთან. რაც შეეხება უფროსთა და პოლიტშემადგენლობის ფულით დაკმაყოფილებას—ჩემთან შენახული ჩანაწერებით შემიძლია დავამტკიცო, რომ პოლიტშემადგენლობა სარგებლობდა ფულით ჩემგან ძლიერ ხშირად, უარი თითქმის არას დროს შეხვედრიათ. ეს შეუძლიათ დამტკიცონ ბატარეის სამხკომმა და პოლიტხელმ., მაშინ როცა მეთაურთა შემადგენლობა ფულით ჩემგან სარგებლობდა განსაკუთრებული გამონაკლის შემთხვევებში.

1-ლი ბატარეის სამნეო ნაწილის გამგე ასათიანი 19 აგვ. 1922 წ.

ეს პასუხი დამიგვიანდა, ვინაიდან მძიმე ავადმყოფობის გამო 27 ივლისიდან 17 აგვისტომდე ვიწექი ქართულ დივიზიის ლაზარეთში.

ასათიანი.

მეცნიერება და ტეხნიკა

საავტომობილო ტრანსპორტი უკანასკნელ წლებში იმდენად განვითარდა ამერიკაში და საერთოდ დასავლეთ ევროპაში, რომ თავის მნიშვნელობით ის უახლოვდება სარკინიგზო ტრანსპორტს.

ამერიკაში 1921 წელში ავტომობილებზე გადაყვანილ იქნა 7 ჯერ მეტი მგზავრები, ვინემ რკინის გზებზე; და საერთო მანძილი, გავლილი ავტომობილით ორჯერ აღემატება მატარებლებით გავლილ მანძილს. საბარგო ავტომობილებმა იმავ დროს განმავლობაში გადაიტანეს ბარგი, რამდენიც რკინის გზამ, ხოლო მანძილით 45 ჯერ ნაკლებზე. ავტომობილთა საერთო რიცხვი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში აღწევს 14.500.000 ცალს.

ავტოტრანსპორტის ასეთ კოლოსალურ ზრდასთან ერთად იზრდება მისი თვისებრიობაც, რაიც აიაფებს გადასვლა-გადატანის საქმეს. ამასთან საკითხი ეხება მანქანის განვითარებასაც როგორც მუშა აგრეგატს და და ავტოტრანსპორტის სამნეო ორგანიზაციას.

საავტო ტრანსპორტო საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების მხრივ, მთელი ღონის ძიება, უმთავრესად, მიმართულია შემდეგისაკენ:

1) წარმოების მუშათა შემცირება მინიმუმამდის, მათ შორის ფუნქციების სწორი განაწილებით. ცალკე, მსხვილ მეურნეობებში ეს რიცხვი დაყვანილია 1, 8 კაცამდი ერთ მანქანაზე, და კიდევ ნაკლებ რიცხვზე, სადაც შედის რემონტის მუშებიც.

2) ორგანიზაცია დატვირთვა-დაცლისა და, შესძლების და გვარად, მთელი სრული მექანიზაცია.

3) წესიერი ორგანიზაცია რემონტისა.

4) წესიერი ორგანიზაცია საგარაჟო მეურნეობისა და ანგარიშისა.

კონსტრუქციის მხრივ ავტომობილი ძალიან ცოტა ცვლილებებს განიცდის (თუ არ მივიღებთ მხედველობაში სპეციალურ დანიშნულების მანქანებს).

ფართე ხმარებაში სპეციალურ დანიშნულების ავტომობილი სამხედროები (პროჟეკტორები ცენტროსაგურები, ტყვიამფრქვევთა აპარატები და სხვა,) სახანძრო, სანიტარული, მუნიციპალურ საჭიროებისათვის (ქუჩის მორწყვა, დაგვა და სხვა.)

ქვეყნის სამეურნეო ნაწილის სხვა და სხვა დარგებში, წვრილ სატრანსპორტო ამოცანების ასრულების (მცირე ტვირთების და ერთი ან ორი კაცის გადაყვანა) ნორმალური ავტომობილის ხმარება გამოუსადეგარი ხდება, და აქ უფრო რაციონალური ხდება წვრილი სატრანსპორტო ერთეულების—პირლოკარებისა და მოტოციკლების ხმარება. უკანასკნელნი, როგორც სხვები, მეტად განვითარებულია დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში; ამ ჟამად მათი რიცხვი მთელი დედამიწის ზურგზე აღემატება 4.000.000 ცალს.

ძალი ასეთი, თანამედროვე მანქანებისა თამაშობს 0,4 ცხენის ძალიდან 15—დის, ტვირთის აწევით 300 კილოგრამამდე (დაახ., 18 ფუთი.)

მწველის გასავალი ცალკეულისთვის, მინიმალურად, აღწევს 1, 4 კილომეტრს.

სამხედრო საქმე

მცირე სპის მოქმედების ნიმუშები

ნაპოლეონ 1-ის წინააღმდეგ ამხედრებულ სახელმწიფოთა ეგრეწოდებულ „განთავისუფლების ომის" შესახებ კოლომბას დღიურში ნათქვამია: „უადრე იქნებოდა, როცა მე გავემგზავრე შნეიდენბაში ფურაჟისათვის (თივა, შვრია, ქერი). ამ დროს სადილი ყველგან უკვე მზათ აქვთ ხოლმე. მე დავიკავე სახლი და ჯარის კაცებმა იშოვეს თბილი საჭმელი. სადაც კი შესაძლო იყო, მე ყველგან ამ მოხერხებულ საშუალებას ვხმარობდი მცირე სპის საკვებად. მე მცხოვრებლებს საჭმელს აგრეთვე ბანაკშიც ვაზიდვინებდი, რასაც ისინი სიამოვნებით ასრულებდნენ. შენაყრების შემდეგ, მე ჩვეულებრივად, მაშინვე ვტოვებდი იმ ადგილს, თუ კი შევამჩნევდი რომ ზედმეტი ხანი იქ ყოფნა საშიშროდ არ დამთავრდებოდა".

ფრეტის და ეპანილისში გამგზავრებულ კორპუსის რაზმეულის შუა კავშირის დასაცავად მოთავსებულ თავისუფალ სპებისაგან, 60 კაცისაგან შემდგარი მფრინავი რაზმის მოქმედება საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. ფეხოსანი ჯარი სწრაფი მოძრაობისათვის ფურგუნებზედ დასხეს. 1871 წ. 19 იანვარს სპამსი—ლის მიაღწიეს. სპის უფროსი თავის მოქმედებაზედ ასე დაასმენს:

„უშუალოთ ქალაქის წინ მდებარე ეზო დავნიშნე მთელი სპის მოსათავსებლად, ამის შემდეგ მე ფეხოსანი ჯარის გუნდი გავაგზავნე მერის (ქალაქის, სოფლის თავი საფრანგეთში) მოსაყვანათ, რომელსაც გამოუცხადე, რომ მე ვარ პრუსიის კორპუსის მებინადრე. კორპუსი ხვალ დილაზედ აქ იქნება და უბრძანე დაუყოვნებლივ დალაპანდის ბრახუნით გამოეცხადოს ეს მცხოვრებლებს, რომ მან ერთი საათის შემდეგ წარმოადგინოს ფურაჟი 70 ცხენისათვის და სურსათ-სანოვაგე 120 კაცისათვის. მე ამას გარდა უკარნახე: თუ რამდენი საკლავი საქონელი, პური, შვრია და სხვა დასჭირდება გზაში მომავალ კორპუსს. მის სურვილისამებრ თათბირზედ აგრეთვე ქალაქის რამოდენიმე ხმოსანიც მოვიხმეთ; იმათაც იგივე გავუმეორე. თვითონ მერი მძევლად დავიტოვეთ და თოკით უნაგირზედ მივაკარით, მცხოვრებლებს გამოუცხადეთ, რომ მერი თავის სიცოცხლით პასუხს აგებს, თუ პრუსიის რომელიმე ჯ-კაცს ხელის ერთი ბრჩხილი დააკლდება, ან თუ მხოლოდ ერთი შეიარაღებული ფრანგი იქნება შემჩნეული. სპის 30 კაცი იარაღით დარჩა, 30—კი ასვენებდა ამბარში. მეურმეები დავამწყვდიე ოთახში და წყვილი გუშაგი მივაყენე მათ კარებს. ჩვენ ოფიცრები მთელი ღამე ფეხზედ ვიდექით და განუწყვეტლივ ვამოწმებდით ჩვენს მრავალ გაფანტულ წყვილ საგუშაგოებს. ქალაქის მერი დაფაცურებულიყო და მალე მოგვიტანა კარგი თვისების სანოვაგე და ბლომათაც იყო: პური, ღვინო, ხორცი და შვრია. ყველა ეს სურსათ-სანოვაგე ორი დღის საგზალი წამოვიღეთ, დავტვირთეთ რა ოთხცხენიანი ფურგუნი. შვრიით მომარაგება ღირსშესანიშნავ საჭიროებას წარმოადგენდა ჩვენი ექსპედიციისთვის ყველა სოფლებისაგან შვრიის მოთხოვნა—საშინელება იყო.

დილის 5 საათზედ ერთ-ერთ წყვილ საგუშაგოდან მივიღე მოხსენება, რომ ქალაქში გუნდის საყვირის ფაჩუნი მოისმის. გათენებისას ჩვენ დავინახეთ სამასამდე მობილიარდი (საფრანგეთში ეროვნული გვარდია, რომელიც შეიცავდა ყველა იარაღის ტარების უნარის მქონე მამაკაცს, 20-40 წლამდე), მათ რიცხვში ერია რამოდენიმე ცხენოსანიც, რომელნიც გზაზედ ვეზულისაკენ მიემართებოდნენ, საითკენაც ჩვენც უნდა წავსულიყავით. იმათ ღამე სან-ლოუში გაატარეს, მხოლოთ ჩვენმა გაბედულმა მოქმედებამ იგინი შეცდომაში შეიყვანა და დააბნია; ამას გარდა მათ თავდასხმა ვერ გაბედეს ფხიზლათ მყოფ სპაზედ, რომელიც იმავე დროს მაგერიების მოხერხებულ ცალკე ეზოში საუკეთესოდ მოთავსებულიყო".

ფრანგ-პრუსიის ომის დროს ფეხოსანი ჯარი ხშირად ახდენდა ეტაპების რაიონის დარბევას და შორ მანძილზედაც კი, ეგრე მაგ. თავისუფალმა სპებმა დაანგრიეს რკინის გზის ხიდი ფონტენუაში, ტულიას ახლო, დიჟონის დეპარტამენტის (ოლქის) ქალაქ ბოუფონში ჩამალეს ხიდი და გერმანელების ჯარს თავდაესხნენ პატილიონთან. იმის და მიუხედავათ, რომ თავდასხმა წარმატებითი იყო, მაინც გამოირკვ რომ ფეხოსანი ჯარი საკმარისა მოძრავი არაა, რომ მას მოქმედე მხოლოდ მცირე სპით შეუძლია ამიტომ მათი მოქმედება მუდამ შეზღუდული იყო, ცხენოსან ჯარი საშუალებით კი, შედარებით, მნიშვნელოვან შედეგების მიღწევა შეიძლება.

გ. ბ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.